

გლდანის პატარა ტბის განვითარების პროექტი

თამარ კუტუბიძე



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კუტუბიძე

15.06.2020

აბსტრაქტი

ქალაქის ურბანული სახე ხშირად საჭიროებს განახლებას თანამედროვე სტარდარტების შესაბამისად. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის არაერთი აუთვისებელი, ან ქალაქის კონცეფციასთან შეუსაბამოდ განვითარებული ტერიტორიები.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხია ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მდებარე პატარა ტბასთან არსებული ტერიტორიის საუკეთესო კონვერსიის ჩამოყალიბება. ასათვისებელი ადგილის განვითარებისთვის საჭირო რისკების განსაზღვრა, ოპტიმალური გარემოს შექმნა ადგილობრივებისთვის, ამასთან, ტბის ტერიტორიის ცნობადობის და მისანვდომობის გაზრდა.

კვლევის ფარგლებში, ტერიტორიის შესწავლა ხდება ძირეულად და თანმიმდევრობით. იწყება ტერიტორიის დათვალიერებით, საფრთხეების აღწერითა და რელიეფის განსაზღვრით. მას მოსდევს თბილისის არქიტექტურული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების მიხედვით დამუშავებული ანალიტიკური ნაწილი. ამ ნაწილში დამუშავებული და განსაზღვრულია ისეთი მონაცემები, როგორცაა: ტერიტორიის განაშენიანების კონტური, გეგმარებითი კარკასი, გამწვანება, რეკრეაციული ზონების ინტენსივობა, ჰიდროგრაფია და გზათა ქსელი. აგრეთვე, ნაშრომში წარმოდგენილია გლდანის რაიონში ჩატარებული მასობრივი გამოკითხვის შედეგები, რომელიც განხორციელდა აღნიშნული ტერიტორიის შესახებ მოქალაქეებში არსებული შეფასებებისა და საკვლევი არეალის ცნობადობის განსაზღვრის მიზნით.

კვლევის შედეგად იკვეთება ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საფრთხეები, რომელიც განაპირობა დანაგვიანებისა და მოუვლელობის პრობლემამ. მაგალითად, ჭაობის მცენარეების სიხშირემ გამოიწვია ქვეწარმავლების გამრავლება, რაც საფრთხეს წარმოადგენს მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ნაშრომში გათვალისწინებულია ტერიტორიის ჰიდროგრაფიული მონაცემები და ტბის დაცვის

რეგულაციები, რამაც წინამდებარე პროექტში განსაზღვრა ტბის ბუნებრივი ნაპირის ფორმის შენარჩუნება და ურბანული განაშენიანებისგან თავის არიდება. ამასთან, გამოკვეთილი საკვლევ ტერიტორიაზე რეკრეაციული მრავალფუნქციური პარკების სიმცირის ფაქტი და გლდანის პატარა ტბის საბოლოო ფუნქციური ცვლილების შედეგია - რეკრეაციული, მრავალფუნქციური, გასართობ-შემეცნებითი სივრცის მონცობა ტბის მიმდებარედ. საპროექტო სივრცის ცნობადობისა და მისანვლომობის გასაზრდელად წინამდებარე პროექტის ფარგლებში დამუშავებულია საზოგადოებრივი და სხვა სახის ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გზათა ქსელის მოდელები.

საკვანძო სიტყვები: კონვერსია, ტბა, მდგრადობა, მრავალფუნქციური, დაცვა, ეკოლოგია.